

13.8 1915 სა ბოლგარი

იუმორისტ. უფრნალი



# ეჭაპოლ ადვოკატი



№ 6

1915-1916 წლების პრეზიდენტი



ობლივი

შეიცვალა

კნეინა. ქა ამდენი როგორ ილაპარაკე, რომ ასე მოიქანცე და გული შეგიწუხდე? თათქაჩიძე. (მთსულიერებული) რას იზამ გეთაყვა უნდა ილაპარაკო. საქვეყნო საქმეა. გუშინ წინ დილით და საომოთი ვილაპარაკე. გუშინ დილით, შუალებზე და საღისის; დღეს დილით და შუალებზე და სიომოთი ვილაპარაკო. რას იზამ გთაცია უნდა ილაპარაკო, ქვეყნა ლაპარაკოს ხომრიბა საჭე ხომ არ არის.

## ქ ე ც ი ა ნ ო.

„ხოლო მე ვითარუა ყრუსა არა მე-  
სმოდა და ვითარუა უტყვებან არა  
აღვადე პირი თვისი“.  
(ფსალმუნი კიტა აბაშიძისა).

მოგეხსენებათ, ხელი ხელსა ჰბანს,  
ორივე ერთად  
ამშეენებენ პირს!  
ერთხელ კრებაზე მარჯვენა ხელი\*)  
შეემთხვა, თურმე,  
დოდა გასაქირს:  
ის აუჯანყდა პირსა დამშეულს  
და მარცხენისგან  
შველას დაჩვეულს,  
სასაყველურო კილო მოესმა  
და იცნო მასში  
მეგობრისა ხმა.  
მარცხენა ხელი (მისგან აღზრდილი  
მგოსანი სანდრო  
შანშიაშვილი)  
„საქართველოის“ შუქურ ეარსკლავა  
ამ გაფიცვაზე  
მას შეედავა.  
არ დაუხსომა ძველი ამაგი  
(და სამწუხარო  
არა არს აგი?)  
შემოსწყრა კიტა „მის აღმოზრდილსა“  
დიდებულ მგოსანს  
შანშიაშვილსა  
და რაც კი გულში ხინჩი ებუდა  
სულ შემთხვევად  
შემოუფუტა:

— შეილო სანდრო! არ გრცხვენია,  
მოიძულე შენი კიტა?  
აღარ გახსოვს ბავშობისას  
გულს ჩაგირა, ხელით გზიდა?  
ასე უნდა დაუფასო  
ლვაწლი აღმზრდელ ჭირისუფალს  
კაცების თუ არ გრცხვენია  
იქ რას ეტყვი მამა უფალს?  
აღარ გახსოვს „აზრელებმა“  
ქურდობა რომ შემოგწამეს?

\*) გთხოვთ სცნათ კიტა  
მისი სახელი.


პირველათ ვინ შეებრძოლა  
მათ თაგხელურ სითამამეს?  
აღარ გახსოვს შენი ქება  
„ხალხის გარყენათ“ ჩამითვალეს,  
ლამის ოთხში ამამიღეს,  
გამწამეს, გამაწვალეს?  
აღარ გახსოვს... მაგრამ განა  
ჩამითვლის ყველა აგი,  
რაც მე შენზე შრომა მიძღვის,  
სამსახური და ამგიგი?  
შე პარნასზე მობინადრეს  
ქვეყნის არა გაგეგება,  
და კიტა გულ დამდუღრული  
კვლავ ფერხთ ქვეშე გაგეგება,  
მაგრამ შენ ჩემს გამონაზარდს  
არ შეგშვენის ჩემზე ძვირი  
და ასე რომ მომიძულე  
ეგ მაწუხებს, ამას ვტირი“.

მარცხენა ხელმა, (შანშიაშვილმა  
კიტის ნაღვაწმა)  
და გამოზრდილმა)  
ლვაწლი კრიტიკოსს არ დაუფასა  
„საქართველოში“  
ეს მოუთავსა:

— ჩემი მცველო ანგელოზო  
სანატრიელო ძია კიტა,  
ბროლის სხივთა ქანდაკებავ  
და დილის მზის მარგალიტო!  
წავიკითხე გულის ყურით  
სიტყვა შენი მონაგზავნი:  
სარგებელსაც ვერ გადვიხდი,  
შენ კი გინდა გიზლო თავნი!  
შიმშილობაც რომ არ იყოს,  
აწ მე რაღა გმასუქებს,  
თუ პროტესტში გამოუშებდ —  
მაგ უთვალავ რამასუქებსა? კეუინ კაცს გეძხინ,  
მწერლობითაც არ ხარ ხამი  
და ეს როგორ მოგივიდა,  
რომ მომთხოვე მგოსანს ქრთამი?  
შენის აზრით „სისხლით იჩწყვის  
საფრანგეთის მინდორ-მდელო  
და არც კი ლირს ლაპარაკად  
ქეციანი საქართველო“.  
მაგრამ რა ვქნა, როცა გული

უფრო ეტრიფის „ჩვენს ქეციანს“  
იდრე ფრანგთა საიმაყეს:  
არიშს მღიდარს და ეშიანს.  
შუნდ მომკლდეს შენი ზრუნვა,  
სოამაგე შენი ხელი,  
სინც ვიტყვია—ქეციანსაც ·  
აზრდო უნდა და საჭმელა!

ეშმაკი.



მოციქულთა სწორი წმინდა მოწამე

## პ ი ტ ა

(ერთსაკობაში იყანე აბაშიძე).

ქართველ წმინდანთა გუნდს შექმატა ახალი  
მოწამე და მოციქულთა სწორი კიტა. როგორც  
ირკევა ძეველი გაზეთებიდან, ის თურმე მეოცე სა-  
უკუნეში ცხოვრობდა. უწიმებიათ იგი ეგრეთ წო-  
დებულ სოციალ-დემოკრატებს. განსაკუთრებით  
დღე კიტას მოსაგონათ ჯერ დანიშმული არ არის.

## გლიცინაზ.

გლიცინაზების სიმხეცე.

მკითხველი, რა თქმა უნდა, წაიკითხავდა იმ  
შემაძრწუნებელ ცნობას, „სახალხო ფურცელმა“  
რომ გამოაქვეყნა ამ დღეებში:

გერმალელებმა „დაპრობილ პოლონეთში ყველა პური  
და ქერი და ა ტუ ს ა ლ ე ს ო“.

ჩვენმა საგანგიბო კორესპონდენტმა შემდეგი  
დეპეშა გამოვიგიზვნა ამ აღმაშეფოთებელ ამბის შე-  
სახებ:

„დღეს ვესაუბრე გერმანელთა მიერ დატუსა-  
ლებულსა და შემდეგ გამოქცეულ ქერს. აი, რა  
მიამზო: „გერმანელების სიმხეცე აუწერელია. ჩვენ,  
ყველა პური და ქერი, შემდგომთ დატუსალებისა,  
საზინელ ბნელ სარდაფებში ჩაგვყარეს, შემდეგ  
საწყალი პურები გაიტანეს და როგორც დანამდვი-  
ლებით შევიტყვოთ, თორჩებებში შებრაზეს და შეს-  
ჭიაზე!! ქერების მდგომარეობაც უჩიად საშიშია.  
ვეპყობ, რომ თუნდ ერთიც გადარჩეს. მე რაღაც  
სასწაულით გამოვიყენი“. გამოქცეული ქერი „სა-  
ხალხო ფურცლის“ რედაქტორი ამირებს მისვლას  
და დაწერილებითი ამბებს იქიდან გაიგებთ“.

მადლობა ლმერთი! ძლიერ ველის ველისეთ ქართველ  
სასკრნ კრიტიკისს, რომელიც, თუმცა სათეატრო  
უარგონით სწერს, მაგრამ დიდ სპეციალურ ცოდნა-  
სა და გემოვნებას იჩენს.

აი, ნიმუში:

„...ბ-ნი ალ. იმედაშვილი უ ს ვ ა დ არის დაჯილდო-  
ვებული ერთ შესანიშვნა თვისებით. ეს გახლავთ მისი სას-  
ცენტრი რიცანი ხეს“.

როგორც მკითხველი ჰერდავს, ავტორი იმედა-  
შვილის სასკრნ, რიხიან ხმას მსახიობის შესანიშ-  
ნავ თვისებათ სთვლის. ასეთ ზოგად ქების შემდეგ  
რა თქმა უნდა, ამ ქების დაწვრილებით დასაბუთე-  
ბას უნდა მოველოდეთ. იგტორიც, ბ. ვ. გარჩიკი,  
ასე ამტკიცებს ალ. იმედაშვილის ხმის შესანიშვნა-  
ბაბას:

„მაგრამ, საუბედუროთ, იგი (ხმა და არა იმედაშვილი)  
ვერ არის დაენიშვლი ერთ ლონგზე (?) . სტულიდ არ არის  
მოწილი, თვით ხმის ტემპი ალეგალა არა სასიამოცნო  
კილს იღებს (?) . მის ხმაში ვერ იხატება ვერც სინაზე,  
ვერც გამომეტყველი (?) ალფროთავანებული სისტული, ვერც  
სევდა-შეუხარება... მსახიობს ხმა სტულიდით არ ემორჩილება  
არც დაბალ და არც მაღალ რეგისტრებში. უფრო საშუალო


ზო დფგბა ერთ ლინეშვე (!?)... მაგრამ აქაც თითქოს ძუნწობს მასახიობი და ნებას არ აძლევს თავის დიაპაზონს, რომ გაი-ულოს“).

ვსარგებლობთ ბ. გარჩიკის უფრო ლოლაკას თვე-თ აუტორის ნიჭის დასახისითებლათ:

ბ-ნი ვ. გარჩიკი უხვად არის დაჯალდოვიბული ერთ შესანიშნავ თვისებით. ეს განლავთ შისი კრიტიკული რიხიანი ნიჭი. მიგრამ, საუბრეუროთ, იგი უფრო უნიჭობას ჰგავს და თვით ნიჭის „ტემბრი არა სასიამოვნო კილოს იღებს“. მის „ნიჭში“ ვერ იხატება ვერც კრიტიკული აღლო, ვერც უბრალო წერა-ეთხეს ცოდნა. კრიტიკოსი არც თუ მორტცვა ვინჩე და უფრო მეტიარა და თავები კაბუკი უნდა იყოს, რომელსაც გაუურნია უცხო სიტყვები „ტემბრი“, „დიაპაზონი“ და სხვ. და ამ სიტყვებს ისე ხმარობს, რომ მათი მნიშვნელობის არა გაეგება რა. „საშუალო რეგისტრში დიაპაზონის გაშლა“ ისევე ძნელია, როგორც ცხვირის ნესა-როში კრიტიკოსის ნიჭის გამოჩენა...

ალ. იმედაშვილს სრული უფლება აქვს წამო-იძახოს:

— ეჭ, ღმერთო, ჩვენეა დაგვიხსენ ასეთი მსა-ჯულისაგან!



## სულ ქართული, ქართული!!

თავადები გავუკან:  
გარსევან და მირიან.

— „საქართველო გვიყვარსო!!“  
მუდო! ამა ყვირიან.

სულ ქართველ ერზე ბჟობნ  
და მათ გასაჭირებდა;  
„ქართველი“, „ქართველობა“  
აკერიათ პირზედა.

ალეალ მათ ბრწყინვალებას  
კარგი რამე ნდომა...  
მაგრამ ჩვენი გლეხობაც  
ხოვ ქართველთა ტოშაზ..  
„ალას“ ვფიცავ, ისინიც,  
(თუნდ იმათი ძველები)  
აფრიკით არ მოსულან —  
არიან ქართველები!!.

მერე, „ქართველობისთვის“

გლეხებს რა პატივს სცემენ?

„ქართველობისთვის ზრუნვას“

ვნახოთ, რით ამტკიცებენ?!!

რით — და მხოლოდ იმით, რომ

გლეხს სადაც მოასწორობენ:

მისდგებიან „ქართულათ“,

და ტყავს „ქართულს“ აძრობენ.

ამ გვარ „ქართულ ზრუნვაში“

არიან სულ გართული...

(მეტათ სასიმოა,

თურქე „შეჭმა ქართული“).

აწმუნში თვალს ხუჭავენ,

წარსულით ამაყობენ,

თანაც ქართველ მეფეებს

მუდიმ ქემით ამკობენ.

მზათ არიან, — ძველ დროსთვის,

ნიანგის ცრემლი ღვარონ...

და სურთ, ქართველი მეფე

გლეხებსაც შეაყვარონ...

რომ მეფეს და ქართველ გლეხს

ერთი ენა ჰქონიათ,

თურქე ეს დიდათ ღირდა...

(ცოტა ხომ არ გვინიათ.)

ოლონდ მეფესთან ერთათ

გლეხს „ქართველი“ რქმეოდა,

მერე თუნდ გლეხს „ქართულათ“

სულიც ამორთმეოდა..

მეფის კუჭს და გლეხის კუჭს

„ქართულ“ კუჭებს არქმევდნ,

მაგრამ როცა მეფის კუჭს

ბევრ საჭმელს მიართმევდნ, —

„ქართულათ“ გაძლებოდა

საზრდო თავზე სდიოდა,

საწყალ გლეხის „ქართულ“ კუჭს

სულ „ქართულათ“ შიოდა.

როცა მეფე თავადებს

გლეხებს ყმათ უბოძებდა,

სულ „ქართულათ“ დაწერილ

სიგელ-გუჯარს მოსცემდა.

შემდეგ ისევ „ქართულათ“

საქმე საქმეს მისდევდა...

გლეხი თუნდ შეეჭამათ,—

აბა ვინ დაგიდევდა!..

თუნდა ძალლში გასცელიდენ,  
ნება ჰქონდათ დართული  
(ალბათ მაშინ ის ძალლიც  
იქნებოდა ქართული!).

ქართველ გლეხს და ქართულ ძალს  
ერთი ფასი ჰქონიათ.  
(ესეც დიდი რომ არის,  
ხუმრიბა ნუ გვინიათ).

უკელაფერი „ქართულიათ“  
სწორებიათ დაეთრებში,  
მაგრამ როცა ამ გლეხებს  
ჰყიდენ ხოლმე თარჩებში...

ალბათ აქაც ჰქონიათ  
რამ „ქართული“ მიზანი...  
მაგრამ, თუ რა? ვეცადე,  
ვეღლარ გამოვიტანი!!

### ფონ-ტეფონ.



### გ რ ჩ ი 0 \*)

(სახუმართ მოთხოვთ)

190... წელს № მაზრაში ვიყავი ხარჯის ამ-  
კრეფ ინსპექტორათ.

მოვიდა მოწერილობა, რომ გუბერნატორი  
მობრძანდება მაზრის დასათვალიერებლათ.

შევიკრით მაზრის უფროსი, მაზრის თავად-  
აზნაურთა წინამდლოლი, მე, ბოქაული, ყველა წარ-  
ჩინებული პირი და შევქენით თათბირი იმის თა-  
ობაზე, თუ როგორის ზეიმით დაუხვდეთ გუბერ-  
ნატორს. უპირველეს ყოვლისა ვილაპარაკეთ სა-  
დილზე. პირველი სადილი უნდა გაგმართა თავად-  
აზნაურობის წინამდლოლს. ასეც დასკვნეს.

კრებამ ერთხმათ ამინისი სანოვაგის სასყიდ-  
ლათ, როგორც კარგი გემოვნების მქონე და გა-  
მოჩენილი კულინარი.

\* ) მოგეხსენებათ ჩინებული ქართული ანდაზა: „გაბალი  
წევრში გამწარდებათ“, ეს მოთხოვთა ასამშობლის „რედაქ-  
ტორს თავში ესამტკბილა, მაგრამ წევრში ემწარა და ვე-  
ლარ დაბეჭდა. „ეშმაკის მათრაპის“ რედაქტორს სიმოვნებით  
უთმობს ადგილს „სამშობლოსაგან“ გამეცებულ მოთხოვთას,

მარშალმა მომცა ფული, —თანაც გამაფრთხი-  
ლა — მათ აღმატებულებას ჩალიან უყვარს ვოჭა, —  
რაც უნდა დაგიჯდეს, უსათუოდ იშოვნეო“ ლა  
გამომისცემა.

ჩამოვედი ქუთაისში.

დილა.

მარტოს სიარული და ვაჭრობა ჭირივით მე-  
ჯავრება და დავიწყე ბიკენტის ძებნა.

არ იცით, ვინ არ ს ბიკენტი?

ომ, ბიკენტი ყველას საყვარელი, ყველას  
მოყვარული, ყველას ჭირისუფალი, ყველას ავან-  
ჩავნია.

ოვალტანად ცოტა ჯუჯგია, მაგრამ მაინც  
არა უშეასრა: გულებეთილი ბიჭია. ყველა პატავსა  
ს ცეცხა: არც ერთი ლენი, ქეთი და დასაულავება  
უძისოთ არ მოხდება. ვინც იცნობს —ხომ ყველა  
ეპარიება და საქმეს მიანდობს ხოლმე — ვინც არა,  
— თითონ გაიგებს ბინას, მიღის და თავის სამსა-  
ხურს შესთავაზებს. დაინახავს თუ არა ცარიელი  
კუბო მიაქვთ, გაცყვება თან, მიცელებულს იტი-  
რებს ცხარე ცრემლით, ჭირისუფალს მიუსამძიმრებს  
და დაიწყებს განკარგულებას. არც არავინ ხელს  
უშლის. ენდომიან, იყიან, რომ რაც მნელი საქმე  
იყოს, ბიკენტისავით ვერავინ ვერ გაკეთებს. მეტე  
გვინია ამისათვის ფულს იღებს? არა! ეს არის მი-  
სი ბუნებრივი მოთხოვნილება.

დილის 11-დან 2 საათამდე ქალაქის ბაღშია  
და სალილის „კომბინაციებს“ აწყობს. თუ საქმე  
ისე მოეწყო, რომ სალილის წინ ვინმემ საღმე გაგ-  
ზავნა, ერთა ადგილი აქვთ მიჩენილი, (კირაკოზოვის  
მაღაზია); ამ მაღაზიის კედელზე დაუშერენ იმ რეს-  
ტორანის ხახელს, რომელშიაც განზრაბულია ქე-  
ფი: მაგალითად — „მეღვედი“, „იალტა“, „ბორჯო-  
მი“, „ლევი“ და სხვ., ბიკენტი მივა, წაიკითხავს  
და გაეცენდა იქითკნ.

ერთ დღეს კუმშვილებმა თურმე უხუმრეს. სა-  
ქეიფოთ წესვლის წინ საღდაც გაიტაცილეს, კე-  
დელზე მიუწერეს „მეღვედი“ და სხვაგან-ეი წავი-  
დენ.

ბიკენტი დაბრუნდა, წაიკითხა და წავიდა  
„მეღვედში“. იქ არ იყვნ. გაიქცა მეორეში —  
არც იქ დახვედრო, მესამეში, მეოთხეში... მთელი  
ქუთაისს ლუქნ-რესტორანები უშმიაბინა და  
ბოლოს, საღამოს 9 საათზე, ფერმაზი მიუსწოდა,  
როცა ქეთი გაეთავებინათ და სახლში პრუნდე-  
ბოდენ.

ზოგჯერ ასე გაემასხრებიან, აწვალებენ, მაგ-

რამ, როგორც გითხარით, არც ჭირი და არც ლხინი უმისოთ არ იქნება. მისყავთ იმიტომ, რომ ოსუნ-ჯია, მახვილი; როცა უკაცია სუფრაზე ტრლუშ-ბაშათაც ირჩევნ ხოლმე. კარგათაც სვამს, უკეთე-სათ კი— სკამს.

ბიკენტის ამხანაგიც ჰყავს — დიკო.

მაგრამ თქვენ შეიძლე დიკო არ გეგონოთ. ის, ისა... ქუთაისის პრეზიდენტი... რომელიც ბანკის დირექტორებათ საკუთარ კანდიდატებს ნიშნავს და დაშასურებულ დირექტორებს პრენისას და ჯილდოს თითონვე აძლევს ბანკის მოგენილან... ის, ისა, კა-ცო... საზოგადოებისათვის რომ შექარს იწერს და თითონ ფულს არ „იგებს“, ხოლო სხვა ვაპრებს-კი ხალისის ნაცვლად ფულებს „უგებს“... ის შეიძლე დიკოა... გვაჩაც გეტყოდი, მაგრამ ცოტა არ იყოს ცული გვარი აქვს და არ მინდა შევლიახო შენი სმენა...

პო და ისიც ოსუნჯია, მაგრამ მისი ოსუნჯისა სულ სუფრის გარშემო ტრიალებს. მისი სიმახ-ვილე ჭამა-სმას არ სცალდება. გარდა ამისა ბევრს ღაპარაკობს და სუმრიობს მარილი ეცლება ხოლმე. ნაჭირი ყმაწვილია... წყერდა პატარა ნოველებს, ლექსებს... და ასალებდა „მაიაშვილის“ ფსევდონი-მით... ხალხს ნამდვილი „მაიაშვილი“ ეგონა და კითხულობდა.

პოვნაშიაც ახალი სიტყვა სთქვა: „ბულბულს სახე დაეღმიქა“—ო. დიდი აურსაური გამოიწვია ამ სიტყვებზე კრიტიკაში. ეს იყო ახალი აღმოჩენა — „ბულბულს აქვს ბოლო, ფრთები, ნისკარტი, — სახე—კი—არა“. ბოლოს, როცა თითონ აფრინს ჰკითხეს, მან ორივე დებულება უარჲყო.

ახლა აღარ სწერს, იმიტომ, რომ მის ბულ-ბულს ისე მძლავრად მოეღმიქა სახე, რომ ყები ამოუფარდა, დამახინჯდა და აღარ იცინის.

სპეციალურ სწვლუც მიუღია: გეგმებს ხა-ტაქს, მაგრამ დვინომ ისე გამოუბერტყა თავიდან ყველაფერი რაც გააჩნდა, რომ გეგმებისა აღარა დარჩენა და ახლა გაშლილ სუფრის ხატაქს (ოც-ნებაში) შესანიშნავთ. ერთ „პორცია“ ხარიში რამდენი ნაკერი ხორცია—ისიც—კი იცის. დიკოს ყოველნაირ საზოგადოებაში ნახავ მოქერიულს, — დაწ-ყებული აფიცრებიდან, უბრალო მუშამდე. თავდა-ბალი ბიჭია.

პო და არჩევანში ჩავვარდი—ვის მიემართო საშველათ — ბიკენტის, თუ დიკოს?

„ვირჩევი ბიკენტი, გავიგე მისი ბინა და ჩავ-ჯევ ეტლში.

მეეტლემ უარი მითხრა.

— იქ ვერ წაგიყვან ბ-ნო!

— რატომ?

— ის იმისთანა ადგილს ცხოვრობს, რომ ქა-ლაქის ნიხილი იქ არ უდგება... ბიკენტისთან წას-ვლა თუ გინდა, უნდა გავრიგდეთ.

მეტი რა გზა მქონდა, გაუურიგდი და წავედი. მიევდი. ვიკითხე—ბინა მაჩვენეს.

კარზე დავაკაუნე.

ოთახიდან რაღაც ხმაურობა მომესმა და ბო-ლოს სიტყვებიც გავაჩიჩი.

— გამოშვი;

— მოიცა!

— ჩერა!

— არ შემიძლია!

— ფეხი ვერ გამოვიდე!

— რა ჰქენ?

— ეხლავე!

კარი გაიღო. შევიხედე.

დახეულ საბანში ბიკენტი გახლართულა და ფართხალებს.

შემებრალა. მიევშველე, როგორც იყო გა-მოძრა.

შევედი, მაგრამ ოთახია იმისთანა, რომ მშეი-რა უ შეხვალ, თვარა მაძლარი ვერ დაეტევი.

შევედი გვერდ-გვერდ და კუთხეში სამფეხა სკამზე დავჯევ.

ბიკენტის ძალიან გაეხარდა ჩემი მისელა. გა-ვარდა ეზოში, კაზე პირი დაიბანა, ჩაიცვა, დახუ-რა.

— აბა, მარო, ადექი და დატრიალდი შენ-ბურათ, სთქვა ბიკენტიმ.

„მაროს“ გაგონებაზე თვალები ვაჭიყიტე.

— ეს ჩემი პატარა და არის... მითხრა მან, მოწყინდა სოფელში და აქ ჩამოვიყვანე... ცოტას გერთობა, ღროს გატარებებს ქალიშვილი...

„ეკი ღროს გატარებაში კი გყოლია“—ვი-ფერე გუნდებაში, მაგრამ ხომ იცი შორაპნელი აზ-ნაურის ტრაბახობა.

მაზული იმდენი აქვს,—ეზოში რომ დაჯდეს ნახევარი ზურგი სხვის აღელიში რჩება. რომ მო-ვდება ქაში თუ დაემარხავთ სარივით, თვარა სა-საფლაო მაგას არა აქვს.

— აბა, მარო, ძეირფას სტუმარს „ზაჟუსკა“ მოართვი. ჩაიცვდა ბიკენტი.

— კედელს თუ უკბენს არ ვიცი, და სხვა წევ არაფერი გაგვიჩნია! მომესმა ლოგინიდან ბაჭ-ვის ხმა.

ბიკენტრის შერტვა, მაგრამ გასწორდა.

— რა მასხარა ხარ, შე ცუგრუმელავ! ნაძალადევის ღიმილით უთხრა და და ძანქები თავზე წაახურა.

ახალი ნაღლეომევი იყო.

თოაბში ერთ კედელზე ცალი ფიცარი იყო მიქედილი, ალბათ მაგიდის მაგივრობას თუ ასრულებდა; და ამ ფიცარზე დიზის სიფრთხილით ქადალდში გახვეული პასკა იღო. ჩუმათ აეპარე ხელი და თითოთ გასინჯვე. მაგრა იყო. დავაქირე თითო—არ ჩაიდა. ვკარი წყიპური,—უარიელმა თუნუქმა დაიქრიიადა... მიყედი—ქადალდში შეხვეული პასკის ფორმა იდგა მხოლოდ სჩვენებოა.

გულუხვი შასპინძელი რომ გამომევანა ამ უხერხული მდგომარეობიდან, ავდექ და წამოვედით.

— პატარა საუზმე ხომ იქნება ამ დილით? — მკითხა ბიკენტრმ.

— ისე მაძლარი მივდივარ შენგან, რომ მგონი საღილიც ვედარ ვემო. ვუპასუხ.

— ნუ ხუზრობ, თუ კაცი ხარ! აბა ამ უთენია რომ მომადექი, რა უნდა მეტმია!

— შენ ჰო, მაგრამ ის ბავშვი რას სჭამს დღეს? მზრუნველობით ვკითხე.

— არაფრია! მეზობლები აქმევენ. დამშვიდებულმა მიპასუხა. შეს ჩემი საქმე მითხარი!

— საუზმეს გაქმევ, მაგრამ „წ“ლზე რაც იწყება, ის არ მოითხოვო... წწილი, წვალი—არ იყოს... ხარჩო და ღომი.

— „წ“-ზე ხომ შეიძლება? პაპიროსი—გალეია!

— ჯანაბას შენი თავი!

**გალ. შალიკაშვილი.**

(ზემდეგი იქნება).

## ბუმც ფეხი გამოჟო

(ი გ ა ვ ი)

ალექსი იყო კარგი მეცურჭლე,

კარგი ქოთნების მაკეთებელი

და გაყიდვაშიც გამოპრძმელილი:

ენია სჭრილა, ვით სამართებოი.

როცა ბაზარში მუშარა ზარება,

ის მოპყვებოდა ქოთნების ქებას

და ამა მიზნით დაუზოგველათ

ხმარობდა მოელ თვის მჭერმეტყველებას,

უნდა გენახათ იმისი სახე

იქარხლებული, როგორც ცისკარი

თანაცის ქოთნებს მუშტრის სახმობათ

აწერიალებდა, ვითარცა ზარი.

უკარგი ქურქელი! კარგი ქოთანი!

ისმოდა მისი ხმა მიმზიდველი

და იშვიათად გაბრუნდებოდა

ხელუარიელი მისგან მყიდველი.

რას არ ეტყოდა? რას არ მორთავდა?

თავისი მუშტრის მოსახიბლავათ.

რა და რა ზომას არ მიმართავდა

ზეცმეტი გროშის ასაცინცლავათ?

ვიცია, რომ ჩარჩულ სულისკვეთებას

არ უჩანს ბოლო და არცა კადე,

მისი დევიზი ეს სიტყვებია:

„იაფიანი ძეირათა ჰყილე!..“

და საქონლის სიძეირის ახსაც

ვაჭრმა იცის დროს შესაფერათ.

ხან აქ გაფიცვებს მოიმიწეზებს,

მუშასა სახაეს ცხოვრების მტერათ;

ხან იქ ქარხანას ცეცხლს წაუკიდებს,

ზარალს აღრიცხავს მიღიონიბით;

ხან წყალდიღობას მოიხსენიებს,

ამ და ამ სპარსულ გაზეთის ცნობით;

ხან ხოლორასც მოიშველოებს,

შიმშილასც ამ მხრით გამოიყენებს,

ომი ხომ აძლევს მდიდარ მისალას:

რომ აძლევას ენას, არ მოგისვენებს:

„ეს ავსტრიაო, ეს გერმანია,

ეს ბოსფორიო, ეს დარდანელი...“

ერთი სიტყვითო, ვაჭრობის საქმეს

კრიზისი აქვსო აუტანელი!!!

ალექსიმც, ალბათ, რომ შეამჩნა

ვაჭრული საქმის არევ-დარევა,

ქოთნების ფასი დიდათ ასწია,

ჩარჩულ კერპს უწყო გუნდრუკის კმევა!

და ია ბაზრის შეა აღვილას

დღეს მან ქოთნები გამოაფინა:

ჩვეულებრივათ ჩამოპერა ზარებს

და გაიჯგიმა ამაყათ წინა!

აგერ მოადგა კიდეც მუშტრარი

და ქოთნის ფასი შევითხა წყნარად,

ალექსიმ ჯერ ხმაც კი არ გასცა,

თავებს მის კითხვას იჩნევსო არად

მუშტრამა კითხვა გაუმეორა:

აბა, მექურქელევ, ამ ქოთნის ფასი?

— „ამ ქოთნისში.. შენებრ ნაცნობ მუშტრისთვის  
ეს ეღირება ერთი აბაზი!..“

— „ରା ଏବାଣିକ? ଶ୍ଵାସରୁଙ୍ଗ ତ୍ୟଗିଲାଇ  
ଦା ଫଳେ ବ୍ୟାପକ ରା ଥନ୍ଦା ନେଇବା? ..“

— „ରା ଡା... କ୍ଷୁ ତ୍ୟ ଏଣ ଘାଘିଗନୀଙ୍କ  
ଶେବ, ଫାରଲାନ୍ଦ୍‌ରେ ରମ୍ ଡାଇକ୍‌ରୁଅ?

ომი რომაა ევროპიული,

მით საქონელიც გაძვირებული?.“  
და ამგვარ ბრძნულსა აზრებს იმის

ისმენს მუშტარი კაკვირვებული...

ბოლოს ტუჩებზე მწარე ლიმილი  
წყნარად შეჭკითხა მან მექოთნესა:

Digitized by srujanika@gmail.com

სააგარეკო შარქები.



ପ୍ରକଟିତ ହୁଏ ଯାଇଥିଲେ କୌଣସିଲୁ  
ଶକ୍ତିଶାଖାରୁଷିଳା. କୌଣସିଲୁରୁ ଉପରେ ଦେଇଲୁଛି  
ନା. ଉପରେଥାବୁ ରୂପ ଶାକମୁଦିତକୁଟିଲୁ  
କୌଣସି ଜୀବିତରୁ ଧାରନ୍ତିର, କାହିଁ କାହିଁ  
ଚିଂଗି ରୂପରୀ, ରୂପରୀ ଚିଂଗି!

— “კი, დარღანელი დაკვეტილია,  
მარა შენს ქოთნებს ვინ უთხრა ესა?..”

— „ვინ და.. მე!“ მკაფედ უთხრა მექოთნებ.  
— „ჰო?! აბა ახლა ისაც უთხარი; სანაც დარღინელს არ გაარღვევენ,  
აღარ მოვა თქო თქვენთვის მუშატარი!..“

უთხრა დაცინვით და გამობრუნდა.

ରୂପରୀତି ମେଳାନ୍ତର୍ଗତ ଅନୁଷ୍ଠାନିକ ପରିବହଣ


ომის ურყალ ამბების კოდნით

ଓ ମନ୍ଦିରପାଞ୍ଜୀରେ ତୁ କବିଲୋକ ଏହିନ୍ଦିତ..


ଲକ୍ଷ୍ମୀପାତ୍ର

• 3 2 3 n 6 13 13 9.

(ଲୋକାଧିକା ଓ ମୃଦୁଶର୍ମା)



ଯୁଦ୍ଧକ୍ଷେତ୍ରରେ ଶ୍ଵାଗିଳ୍ଲା ପାଲିନିମା, ଲୁଗନ୍ତୁ ଅଣିସ ଲର୍ଦ୍ଦମିସ  
ସାହ୍ରା କ୍ଷେତ୍ରକୁ?  
ଶ୍ଵାଗିଳ୍ଲାପାଦା ଲର୍ଦ୍ଦମିସ ଅଣି ପ୍ରଶାସି, ଥ୍ରେସିଗ୍ନିସ କ୍ଷେତ୍ରକୁ  
ଗାନ୍ଧି ଅଣି ମନ୍ତ୍ର, କ୍ଷେତ୍ରକୁ?



## შ ა რ ა დ ლ ე

ვფიქრობ დაპნატრდა მკითხველსა  
შარადა კოლოს ნაწერი.

(მართლაც, რა კარგი რამე გვყავს,  
რა მოშარადე, რა მწერი!)

და აი, კადათ შეუდგა  
იგი შარადის წერასა...

(იმგვარ ძელ რამეს პირებს,  
რომ ვერ გაუგებთ ვერასა!)

მოჩინის და მოპეტებს მდინარე

ალპის მთათა ძირებსა,

რომ ბარში ნანა უამბოს

ქალაქებს განაზირებსა.

მოცლელიას აღმოსავლეთით,

ღრმა, მოკამეამე, ღაუვარდი,

ამწვანებულსა ნაპირებს

ია უმშენებს და ვარდი.

იპოვეთ ესე მდინარე,  
(ერთხელ კიდეც გაქვთ ნახული)  
და გქონდეთ იქვე, ახლორე  
საქმისთვის შემონახული.

აშ იმა შხარეს კველუბსა,  
სიდ წყალი იგი მჩქეფარებს  
იპოვით ქალაქს სატაცოს,  
(მისგან სამხრეთით მდებარეს).

დიდების ედგა გვირგვინი  
ძველიათ მას, მნენს და ძლიერსა,  
აშ აჩრდილს გარდასულისას  
მიღასლ ასებულს, ხნიერსა.

ხშირიდ სწყალობდა შემთხვევა,  
მას სახელ შენამატებსა..  
(ერთხელ რომ ნგრევს გადარჩა  
ის დაუმადლოს ბატებსა).

აღეთ ესე ქალაქი,  
დასდგით მდინარის კიდესა,  
მათ შესაერთად მოენახავთ  
ქორონიკონის ხიდესა.

თორმეტის შეოთხედია  
ჩვენთვის საქირო ნიშანი  
და ვინც ვერ მხვდა, ვერ ჰპოვს  
ცაჲე მზე, ზღვაში ქვიშანი.

უკვე მზათ არის შარადა,  
სიმწირით განაკედავი...  
ფერი გეცვალათ? რა იყო?  
რამ შეგაშინათ ნეტვი??"  
ხელობა არის ერთვარი  
შავ-რაზმელთ, ნაძირალების,  
მტრისა და მოყვრის ერთვარათ  
დამყენებელი თვალების.

რუს-ოსმალეთზე იტყოცნენ  
ძველათ ამ დარგის ხელობას,  
დღეს ინგლისშიაც შეუდეგენ  
ამ გვარის მიმბაძველობას.

### კოლო.

## ომის მიმოხილვა

(საამდროვო სიტყვა, თქმული ერთ ნაღიმშე)

...ეხლა, ბატონებო მოისმინეთ ჩემი აზრიც  
ევროპის მასის შესახებ! ეხლანდელი ომი, როგორც  
გამომხატველი პარტიანულ თეორიათა სტრატეგი-  
ულ ნორმებისა, შესაძლოდა ხდის განვახორციე-  
ლოთ ის ოფიციალური რაიონი პრინციპების ტაქ-  
ტიკისა, რომელიც ჩვენ ნორმალური გულის ფორ-  
ტებიდან გამოვლინ ინკიდენტის პარტაშენტიო-  
რებათ, როგორც მოგახსენეთ, თეორია პრინციპე-  
ბისა მეტად დახშულია ფრონტის მილიტარიზაციის  
დესანტებში და ამიტომ ფსიხოლოგიური მხარე  
გერმანის მიმართულებისა გიპნოტიზმის შედეგების  
გრადუსებს ძლიერ ავიზროვებს. ასეთივე მანუფაქ-  
ტურული მხარეც გერმანის მატრიალური კორ-  
პუსებისა. ის ფლოტი, რომელიც გათხრილ მიწა-  
შია ჩაპრინციპებული, იძულებულია თავი იკვებოს  
ოფიციალური გაუბიცებით და უზარმაზარი ორ-  
მოცდაორ სანტიტერიონი გარნიზონები შესთავა-  
ზოს რაღიოტელეგრაფიულ ფრონტს.

ესევ ითქმის დრედნოუტების ტაქტიურ ნორ-  
მებზედაც: იგივე გიდროპატიული მიმართულება,  
იგივე ბიუჯეტიური კონტრ-იერიშები და კოლო-  
ნებით საზროვება...

ამ რიგად თუ იმ რიგად, ამნაირად თუ იმნაი-  
რად, ასე თუ ისე, მაინც და მაინც არ უნდა მო-  
კლოდეთ იტალიის პოლიტიკის ექსპედიციას და

პოზიციების თეორიის კონტრ-იერიშობას, მაგრამ,  
ბატონებო, ნუ გავიწყდებათ რომ, ტერიტორია  
მილიტარიზაციის კრეიისერთა პრინციპებისა კოლო-  
ნიზაციას მოასწავებს შტაბის ფორტებში. მეორე  
მხრით კი ესეთი აბსოლუტური პრინციპი გველო-  
ბება ჭინ: მეოთხი პრაქტიკული მილიტარიზაციას  
ფსიხოლოგიურად ვერ ფილოსოფიას ობსტრუქცი-  
ათა პარლამენტში. როგორც იდეოლოგია მატერი-  
ალისტურ მეტაფიზიკას და სისტემატიკური იქრი-  
შები ლოლიკებისა, ისევე ფიზიონომიას და პრაქ-  
ტიკულ სტილს გვიჩვენებს ეხლანდელი პონინარის  
ჩინჩრონე...

დაბოლოს ნებას მივცემ ჩემს თავს და გთხოვთ  
რომ ფინანსურ მხარეს ნუ გაშტალებთ და შატე-  
რიალურ კონფლიკტად, ანუ კონტრ-იერიშების  
არენად ნუ გახდით ჩემი მასპინძლის, პატივურებულ  
კალისტრატე ანგარიფისტის — ეს ჩახმახ-კატეპიშვი-  
ლის სახლს და სადგომს...

მე დავათავე ..

— (ხალხი) ვაშა! ვაშა! ვაშა! ბრავო! ბრავოს-  
სიმო!

სტენოგრაფიულად ჩაწერილი გუგულის მიერ.

## „დესეტნიკის“ დღიური

(დასკრული)

28 აპრილი.

დუქანზე მივედი, — რა ღირს ბაღი?

— აბაზი.

— აბაზათ ბროცეის შაქარია.

— შენ არ გაგიგია დარღანელი ყოველივე  
საქონელს ავირებსა? მიპასუხა მეღუქნებ.

ნეტამც მეტყოდეთ: ვინცა ეშამაკია ე ოჯახ  
ამოსაბუგავი დარღანელი, რომ კვიპიტში მოსული  
ქუთაისში ისე ვერ მრატანით, რომ დარღანელს  
აბაზათ არ გაეხადა გირვანქა. მაგრამ თურმე ნუ  
იტყვით! ოთხ მანათიანი შაბაზინი რომ 27 მნათი  
გახადეს ჩემნა ღიპიანმა გაჭრებმა, მიტომ სამ სამ  
კაპიტანი ბაღი, აბაზათ გახადეს სოფლელებმა.  
გაი ჩემი ბრალი! მეკა, ბაღის გაძვირება უფრო  
მწყინს.

29 აპრილი.

შვენიერი დარია, ბრწყინვალე მზე დედამიწას  
ერთშიყვაბა... ქუჩაზე მივდივარ, ვაღაცა უღვაშებ  
გაკრეპილი დაბალი ცილინდროსანი კაცი, გაწო-

ლოლა სიგრძით ქვაფენილზე, ხელები პირთან მოუტანია და ქვებზე დაკვირვებით ბეჭდავს: — ხეალ ქალაქის ბაღში, გამართება დიდ სეირნობა, ორი ათასიარი სანაბაობით: იქიდავებენ ცნობილი აქტიორები, ურიშინის ხელმძღვანელობით. გამდიდრდებით უფლოლო; უყურებთ ენვერდ ხშის გაფრენას, იქნებიან ლამზი ქალები „მჩისტავებათ“\*), სხვა და სხვა და სხვა სწორედ არ მინახავს ასეთი თო აქტიორები, ასე სასტიკათ იმათრახებდენ თავის თავს. ეს ვთქვი და ყოვლივე უბის წიგნში წავინაშე.

## 30 აპრილი.

საღამო ხანს გეახელით ბულვარში, მაგრამ არ შეგვამოს მიწამ მე იქინა არაველი მენახოს წითელ ყვითელი მაშალებისა და მოარშიყვ ქალავაზა მეტი.

## 1 მაისი.

ნამეტანი ქარბუქის დროს, ჩამტვრეულ ქვაფენილში ფეხი ჩამივარდა და ვიღირდეს:

## 7 მაისი.

ამ ერთი კვირის მსვლელობაში, ქე ხთებოდა წერილ-წერილი ამბები, მაგრამ ზოგის ჩაწერა დამავიწყდა, ზოგიც ჩაწერის ლირასთაც ვერ ვცანი. ამ ერთ კვირაში სულ იმას ვფიქრობდი, როგორ დროებს გავატარებდი, როგორ ვიქეფებდი იმ ჩემ მოყვარე კაცთან „ბანჯაში“. გათვარდა ეს ბედნიერი დღე და გიახელით... ოს რომ იცოდეთ რა გულ-უხვად დაგხვედა: ი ჩვენი მასპინძელი; თუმცა თვითონ არაფელი გააჩნია, მაგრამ სტუმრების გულისთვის სულს დაგირავებს, სულს. ახლაც ცალი ხარი გაყიდა, თუმცა ყანების თესვა არ ჰქონდა გათავებული, მაგრამ აბა სოფელ ქვეყანაში თავს როგორ შეირტვენდა. მეტე როგორი პატივი გვცა იმ მამა ცხონებულმა. სასიმიდეში ტარო სიგინდი არ გამნია და მოთლათ გაული იტა:

კვატ-ბატ-ქათაბ-ინდაური,  
მასთან გოჭი, ხბო და ცხვარი;  
წვინანს ღომი მიაყილეს,  
და მშრალს ისთე გამიმტვარი.  
ხაჭაპური ბევრი ვეზტე,  
ცვინაც ვკლებწეთ, ღალის ფერი;  
„სტოლზე“ თუ რაშე გააჩნდათ  
მთლათ შევთონთქლეთ ყველაფერი...

ზოგიერთი კაცი ღმერთ გაფიცებით, გამოყე-  
უქმებულია; ერთი ვიღაცა მებურულებოდა: „ამის-

\*) ფეხის მწმენდლებით.

თანა დღეობა კაცის გამანადგურებელია, მთელი წლის საჩინ მოსახლე კაცმა ერთ დღეს უნდა დახარჯოს, და დეიფსოსო. სულელი არაა?..

ვიქეფით, მეტი რა შეგვრჩება! ასთე არ არის თუ ღმერთი გწაშს?...

## 8 მაისი.

ქუჩაში გაცხარებული ჩოჩქოლია და იყალ-მაყალია, „გორიოლოვონი გორიოლოვო!“ — ვიღაცა ყვირის. მიგარდი. — რა ამბავია?

ეს თავგასული „მეფაიორნები“ რომ არავის მიყება წეიყვანე უჩასტკაში, და მეც მალე მოვალი იქ. მითხა: ერთმ თავმოშვლებილ გალუსტუკიანმ ბრაზ-მორევით. ჩავტერდი „ფაიტონში, ჩეარა გასწი! „მეფაიორნე“ ჯიუტობს; აგრე არ უნდა ჯიუტობა თქვა, და მივაყოლე ლეკურის ტარი ბეჭებში. ბოლოს გეიარა რამოდენიმე, და მეღრიქება თან ათ ზაურიანს მაწვდის.

ო, ეს ფულები!.. რაც უნდა გაცეცხლებული ეყყო, მაღამოს დამაღობს წელულზე, მაღამოს. მაგრამ მე მაინც შევკოჭმანდი. მანათიანი რომ შამმაძლია, მთლათ, დამაგიშყა სამსახურის მოვალეობა და ვიჯიბე მაგრამ საღამოს ყველაფერი გამოიკვა, და დამაპანდურეს.

ვა ჩემი ბრალი! იქემის არ იყოს, რომ ჩემ დამამშვენებელ ფართე კაკარდაზე ნომერი არ დაწერილიყო, ეგბა არც კი დევილუბებოდი.

ახლა ეს ერთი კვირაა ტყვილა დავდივარ, მაგრამ არც ისე ტყვილა, მე ყოფილმა „გარადავიმ“ პოეტობა დავიწყე. რავა ეგბა გიკვირთ ვის-მეზ! პოლფესორიდან შეიღი წლის ხელზე მოსამსახურე გოგო ბიჭებამდი, ყველა პიეტობს, ყველა ლექსებსა სწერს, და მე რა უკანასკნელზე უკანასკნელი მნახეთ.

ი ჩემი ლექსიც რომ ჩემ ნიკში დარწმუნდეთ:

## სიმბოლო ჩვენი ცხოვრებისა.

ლხინი ძმები ლხინი მამა პაპური;  
დაუ, მტრისან დაილუბოს მამული.  
დრო ვატაროთ, ვიფარფაშოთ, ვიხაროთ,  
სიმართლის წინ, ქედი არ მოვიხაროთ...  
და სვირული, თვეში რომ გაბრწყინდება,  
აზრი, გრძნობა, მაში გაიწმინდებ...  
რას გვიქვან ძმური საქმე ერთობით?!

ჩვენ „ბანჯასთან“, „ვენერასთან“, ვერთობით. ვინც გაშარდა სისართლისავის, რა პოვა?  
ის დაგვშორდა, და აწ ჩვენთან ვერ მოვა.

მაშ დავლიოთ! სხვა შეგვრჩება არა რა;  
გვიწინამძღვრებს „ბახუსი“ და „ვენერა“...

16 მთხუამა

ეს ჩემი ნაწერები გადავეცი, ბატონ „რეკეპე  
როკოკოს“, რომ ჩივიდმეტ მაისს ქალაქის, თრიათ-  
ში გამართულ საღამოზე წაიკითხოს: ვინაიდან სა-  
ზოგადო ხასიათს მოკლებული არაა.

ბატივისცემით ასტამნია გორჩდფვით.

რეკეპე როკოკო.



## დ ე პ ე შ ე ბ ი.

ფოთი. ეფისკოპოზის კანკრელარიამ დაასრუ-  
ლა გამოძიება მამა ილიას კურთხევით გამოწვეუ-  
ლი ალიაქოთისა<sup>1</sup>) ლანჩხუთის საბლაოლიჩინოში. მამა  
მოსეს ბლაოლიჩინობა ჩამოერთვა, რამეთუ მოვალე-  
ობა ეს მძმეობა და თვით მოსე მჩირე გამოიდგა. მამა  
დავითის მიესაჯა ამ ზაფხულზე ფოთში ყოფნა და  
საკათელრო ტაძრის ირგვლივ სიარული შემდეგი  
ლოცვით:

„აღმა-სანთლები სულისთვის კარგი,  
სამკითხეველო კი ზედ მეტი ბარგა...  
წყეული იყოს სკოლა სამინისტრო<sup>2</sup>)  
აწ „პრინცესკორი“ უნდა დევიკისრო“. - ი დ სხ.

ამავე ტაძრის ეზოში მამა მოსეს მეთაურ მძიმით  
დასჯილმა ხუცებმა შეაჩენეს მამა ილია, რამეთუ  
დროისა „ერთობისასა“ ეშმაკთა „პრიგრამით“ ხო-  
ლო დღეს კურთხევით არ მოასვენა სულიერი მა-  
მანი.

მამა ილიამ კი ყველაფერში იმართლა თავი,  
რადგან ყოვლის სამშედველოს მოაგონა ყოფილ  
„დამკულ განყოფილების“ მოხელის მამა ინწინ-  
ველის კურთხევა.

ყოვლად სამშედველო იმით არის კმაყოფილი

<sup>1)</sup> ალიაქოთ სასულიერო საქმეების არე-დარევა.

<sup>2)</sup> მაგა დავითის მრევლს თურქე ს. შექტოში ალაპე-  
ბის და სანთლების მაგირ სამყითველო და ურნალ-გაზეოვები  
შემოუღათ. და „პრინცესკორი“ შეკლის მაგირ სამინისტრ-  
ოზ „სკოლა“.

რომ უკიდურესი — „სოციალისტი“ (როგორც მამა  
ილია იყო) და უკიდურესი მონარხისტი (როგო-  
რიც მამა ინწინირებული იყო) იჯმენ ეშმაკისაგან,  
განაგდეს სატანა და განწმენდილი დაემკვიდრნენ  
«სასულიერებელში»<sup>3)</sup>.

იქიდანვე. ქალაქის თვით-მმართველობის დარ-  
ბაზში მოურავის მოადგილეს ბ-ნ ტყემალაძეს გასა-  
ძარცვათ თავს დაესხა „ქალარა მეგაზეო“, რო-  
მელსაც ვითომ და ტყემალაძის მისაწოდებლათ გა-  
ზეოვები ევა ხელში. ტყემალაძემ კარებშივე შემ-  
ჩნდა ბორიტ-განმზრახახელი და გმირულათ შესახა:  
„ჩელვა“-ო, თანაც გააფრთხებული გამოუდგა და-  
საქერალ, მარა მეგაზეომ ისარგებლა რა დარბაზში  
ხალხის ყოფნით გაასწრო გარეთ. გამოძიების დროს  
ჰალარა მეგაზეოვე გააცხადა: „ტყემალაძეს გაზეო-  
ბი ჰქონდა დაკვეთილი და მისაწოდებლად მივდიო-  
დი. დაუმატა აგრეთვე: ნიკოლაძესთან მუდამ მიმ-  
ქონდა გაზეოვები, და არა თუ ასეთი ბრალდება,  
ხელსაც მართმევდა გაზეოვების მიწოდების დროსთან“.

ბ-ნი ტყემალაძე არ დაქმაყოფილდა ამით და  
ბეჭანება გასცა დარბაზში არ შემოიპაროს ურნალ-  
გაზეოვებისა და დეპეშების დამტარებლები, რომ თა-  
ვიდან აიშოროს მოსალოდნელი საშიროება ავა-  
ზაკათაგან; მისრთლაც დატარებლებს შესვლის უმაღ-  
ლ ტყევებს „სტრონი“ ვლასი.

იქიდანვე. აღილობრივ „ფერილის ვაჭართა  
კაეშირმა“ გურია-სამეგრელოს დაშეულთა „დაბ-  
მარების“ მიზნით პირობა ჩამოართვა ბ-ნ კაპეი-  
კინს: ფოთში მიღებული ფერილი „კარშირის“ და-  
უკითხვათ არც სოფლის კოოპერატივებს და არც  
მცხოვრებს არ მისცეს, რადგან თთო ცალზე 15-20  
კაპ. „შედავათს“ აძლევენ დაშეულებს. თვითმარ-  
თველობამც დააღვინა ფოთიდან გასატან ცალ  
ფერილზე. თუ გუბერნატორის ნება-რთვა არ დაურ-  
ჩეს, სოფლელი მეურმე დაატყვევოს და გურიიდან  
ჩიმოტანილ ბალში გადაცელილ ფერილ რეკვიზი-  
ტია უყოს.

იქიდანვე. მესანდლე თათარს (რომელიც აღ-  
გილობრივ ქრისტიანებს ბევრად სჯობნის თავის  
კეთილშობილური ყოფა-ქცევით) ფოთის რაინდმა  
იმედევშეილმა აღლუმებული ყავა შეასხა, რადგან  
გერმანელების სულის შექმნაველ გაზის ხმარების

<sup>3)</sup> სასულიერელი — საპარეი, სადაც „სულის“ გარდა  
ხარში და დუმაც (არა სახელმწიფო) იშოგება აღაპეზე.

მაგიერ შურის ძიება უნდოდა მათ მომხრე ოსმალოზე (თუმცა ხსენებული ისმალი რუსეთის ქვეშეცრდოში და დამხმარეც არის თურქე დიდათ) „მტრითან“ ასეთი თავგანწირული ბრძოლისათვის იქედი შვილს ბოქაულმა ერისთავმა „კულებაკინის ჯილდო“<sup>4)</sup> თავის ფეხით<sup>5)</sup> მიაჩავა და „სატუშ-როშიც“ მიიწვია, საიდანაც ძლიერ „პატივნაცემი“ დაბრუნდა ჩვენი რაინდი იმდეიშვილი.

ბუტუნას სააგნტო.

ს. მარტყოფი. უკვე მეორე კვირაა, რაც აღგილობრივი დამსახურებული ფერშალი ისახებ თუშმალი შვილი უგზო-უკვლოდ გავვეკარგა. გათხოვთ, თუ ვინმებ იცის, სად იმყოფება, გვაცნობოთ.

ფარდშეოფთა მთნდობალობათ აჭარებული ლუსკა.

## მ რ ს ს ე ნ ე ბ

ს. აცანა. ძმაო ეშმაკო გვიშველე  
საქირო არის მათრახი  
და სამისო ამ უამათ  
სწორედ აქ არის ნანახი.

ჩემი სწავლება რათ გინდა  
ქე იცი აქ აფთიაქი  
(მოიგარალე კაცია  
გასალანძლ-გასაქიაქი).

თოთქმის რომ ერთი წელია  
წამალი გამოელია  
დოვით შეშები სტირიან  
შულამ რომ ცარიელია.

ივადმყოფები კენესიან  
ლოგინზე, დავრდომილები,  
პირზე წყველითა კვდებიან  
ეხუჭებიან თვალება.

აქ სამართალის გაჩენა  
უფალმა ალაზ ინება  
და თუ შენ დაგვეხმარები  
სწორეთ რომ კარიგი იქნება.

ანო.

<sup>4)</sup> კულებაკინი ძეველად განთქმული შეპანდურე გუბერნატორი იყო.

<sup>5)</sup> ჯილდოს გაცმის დროს ხელის მაგიერ ფეხის ჩმარება ნიშანებს დაჯილდოვებულის დიდ მამაცობას.

დიდი ჯიხაიში. ჩვენი ბაზრის მოვაჭრებმა,

გაგვიძვირეს ყველაფერი:

სპიჩა, ნაეთი, პურ-მარილი,

საპონი და ქალის ფერი.

მამა-სისხლად, გვიფასებენ,

დაუღულრათ ულვაშ-წევერი,

არ გვზოგავენ არაფრისოვის,

თოთქო ვიყვეთ მათი მტერი.

საათობით უმატებენ,

შაბაიმან-გოგირდს ფასებს,

ტყავს გვაძრობენ „ნელა ნელა“

თავს უყრიან მით ათასებს.

უყრა ჩეენზე ქბილს ილესას,

გარეთ მგელი, სახლში მელა,

ვაჭრებისოვის ალდგომაა,

ჩვენთვის დიდი ხიაბელა!

გარეთ ომი, შიგნით ომი

და შიმშილი კუპის მწველა,

დრამის ფულის გულისათვის,

მოძრვარმაც კი შეგვაცხელა.

ლიპანი და ულიპ,

უწვერო და წვერებ გძელა,

ვით ტარტაროზ-ეშმაქები,

დაგვესინ ჩეენ სულ-ყველა

და არ ვიცი რა მოგველის,

თუ ეშმაქა არ გვიშველა.

კიკოლა ბიჭი.

## გველის ცოხე.

ახალგაზრდა ჩოხიანსა, ხმლიანსა და ხანჯლიანსა, უცებ ბედმა გაულიმა, (ლარ ჰეთვას ანწოლიანსა).

და მიიღო უფროსობა ერთი დიდი სოფლისაო, (ჩითაც გახდა მაღლიერი, ტალ წუთი სოფლისაო).

თურმე „უწინ“, ერთობის დროს, გმირი ერქვა ხალისიაო და როგორც სხვა, დროთა ბრუნვამ, ისიც დაახალისაო.

მაშინ გაჰყეა ახალ გზასა, შესაფერს და შეწონებულს.

„პრავიტელი სტარშინიბა“ მას უბოძეს მოწონებულს.

მას კი თურმე იზიდავდა ბოქაულის ანდაბიტი, მაგრამ იქაც ვერ გამოღება, ტვინ თხელა და ფუქსია საფატი!..

დაეკარგა ესეც, ისიც, აღარც მტრედი, აღარც ყაფვა ფორმის ქვდით, უკარდო, გაზდა უცხო სანახავი

დაუბრუნდა ისევ სოფელს, „ზოგიერთთან“ პპო-  
ვა ბინა  
(და მთლად გეტყვი თუ დამაცით, მან რაებიც  
ჩაიღინა):

ხალხს ეშმაკურ მოხერხებით სიყვარული ჩაუხლორთა,  
ზოგსა ბავშვი მოუნათლა, ზოგს სადილი გაუმართა.

ამ დროს თურმე ამა სოფელს დაპკარგოდა სად-  
ლაც „მამა“  
(და სოფელი, ის მშექნი, ხომ უნდა ვისმი ექამე!?)  
ამ ცწორეთ ამ საქმისათვის მას მიეცყრა ორივ თვალი,  
(ამით თურმე სრულდებოდა მაგა შიგან შენათვალი):

(ისიც ამ გზით მოარული ყოფილიყო სიცოცხ-  
ლეში  
და ამ გვარი საქმისათვის ის დღეს გახლავთ „სა-  
მოთხეში!“)  
გასჭრა ბედმა, აუსრულდა ამ ჩეენს გმირსა საწადლი  
და მიიღო „ღვევი“ კისრად, ჰინვა დუმა მოსათლელი.  
აი აქ კი გამოადგა „სამსახურში“ რაც ესწავლა!..  
(რატომაც არ ისარგებლოს, ტყუჩილად ხომ არ  
ეწვალა!?)  
ჩრჩილი.

ისექტება და ამ მოკლე ხანში გამოვა

## „ცერვარების ციხლერები“

აუქსები ბეგლაძ ახალისირელისა.

მსურველთ შეუძლიათ მოიკითხონ შურნალ-  
გაზეთების კანტორა „განათლება“-ში, ოლდას  
უჩა № 6.

## იყიდება გასული წლების უურნალები:

- 1) „ეშმაკის მათრახი“ 1908 წ.  
34 ნომერი 2 გ. 50 კ.
- 2) „ეშმ. მათრახი“ -1909 წლ.  
34 ნომერი 2 გ. 50 კ.
- ორგვე წიგნი შუვენიერი ყდიო ელი-  
რება—6 მნ.
- 3) „მათრახი“ 1910 წლის 33 ნო-  
მერი—2 გ. 50 კ.



ხუთუას. ჩეენ არა ერთხელ გვითქვამს და  
ახლაც ვიმერრებთ, თქვენთან ერთად სხვათა საყუ-  
რადლებოთ, რომ სახუმარო კილოთი დაწერილ  
ცნობას უთუოდ საფუძვლიანი განმარტება უნდა  
ახლდეს თან რედაქციის სახელმძღვანელოთ. ჩეენ  
არ ვიკით, მაგალითად, ვინ მღვდელია, ან რა ბა-  
ლებია, რომლის შესახებაც თქვენ იწერებით. არ  
დაიბეჭდება.

ათან. ნიკ. თქვენ იწერებით:

„პირველათ ნახე პროკოპი,  
ბოჩიკი ძველის ძველია...  
ბევრჯელ ამ უმარტილს ცოლისთვის  
გვერდები დაუზელია“.

ჩეენ ათასჯერ გვითქვამს, რომ ოჯახურ საკითხს  
აედაქცია არ ქხება თქო და კულაშისათვის ცალკე  
კანონებს ხომ ვერ ვიქონიებთ. არ დაიბეჭდება.

წავლეას. თქვენი ლექსი ეშმაკას კარანტინში  
თავისუფლათ გავიდა, მაგრამ შემდეგ სტაცის ხელი.

წიაკოს. იყითხეწა მორეწე მისაა ასაღმისუტუ  
ნაწერიმი.

გოგიას. თქვენი ვოდევილი მოკლე ხანში და-  
იბეჭდება.

## „ცერვარების მამიში

მაზალის ექიმობაში გამოჩენილმა ვლადიმერ  
საყვარელიძემ გახსნა კაბინეტი. არჩენს უვნებელი  
საშეალებით: სპილოს ძვლებით და ქვით. იქვე აქვს  
მოწყობილი ფეხსაცმელების საწმენდი. ადრესი: ნე-  
კრასოვის და ელისაბედის ქუჩის კუთხე.

- 4) „ოლმანახები“ 1909 წლის 10  
ნომერი—50 კ.

პროფესიული მსურველთ გაეგზავნე-  
ბა ჩეენის ხაზჯით ვინც წინ და წინ  
გამოგზავნის ფულს ან ფასდადებით  
გაიშერს.

ადრესი: თიფლის, ტიპოგრაფია  
შრომა, თეოფილ ბოლკვადე.

# სერული სპორტი

ი. 6. ივანოვის ლაბორატორია მოსკოვში.

**თუ თქვენ** მოქანცული ხართ ფიზიკური და გონიერი შრომით, ნერგები აშლილი გაქვთ, ესა თუ ის სწორება გრირთ—გულს წუ გაიტხოთ! სპერმინი მოგანიჭებთ სასურველ დახმარებას. არ შეიძლება მას ეყრდნოთ წმიალი სხეულის რომელიმე აღილობრივ აღდმულობისა, არა! ეს არის სრულიად უცნებელი ჩამ—ეს არის სიცოცხლის ესენცია, ეს არის ძალ-ლონის წარმოშობი. იგი ჰმოქმედობს სისხლის შეგადენელობაზე, გადა-ახალისებს მას და სწორებას მას დავველებულ მავრენებელ ნაწილებიდან. როდესაც სწორებისა თუ მოძულებულობისაგან დაავადებულ აღიღის მოპევებება სპერმინი, რომელიც ჩეენს ჯანსაღობას სდარაჯობს, მაშინვე იწყებს ნაყოფიერ მოქმედებას და ანენებულ უჯრედების გადასახლისებლად, აწვ-

დის მას ახალს სისხლს, ახალს ძალას, და სწორებას წინააღმდეგ საბრძოლველ საშუალებასა ჰმა-ტებს. ექვემდება დაადასტურეს, რომ სათესლე ძაფების გამონაეური უებარი წამალია: სიბერიის გამო-წვეულ უღლონბისა, სისხლ ნაკლებობისა (ან ემია), ძმები ავადმყუობის შემდეგ ნერგების აშლისა, და-ქანცულობისა და სქესობრივ უილაჯობისა, დაბალ კუნძულისა და ჩუკუნების შედეგისა, სიგამზღვისა, სი-დაბლისა, სქესობრივი სისუსტისა, წყალმანკისა, გულის სწორებისა, ზექრის ავათმყუობისა, ქა-ტებისა, ნიკრისის ქარებისა. ექიმებისა და დაც-მულფაზე აზრი სპერმინის თაობაზე უფასოთ ეგ-ზავნებათ.

მოითხოვთ ყელა აფთიაქებსა და სააფთიაქო მაღლებიერში. ფასი—1 ფლაკონი—2 მან. 40 კა. ფასდაღებით ვგანვით ღრუბულების  $\frac{1}{3}$  მიღებასას, შეიძლება ფოსტის მარკებითაც. მთავარი სწყობი პროვინცია. ახლედინის აფთიაქში, თვემდისა, გრძო-გინის პრისტერი № 41, ლასაკვეთად მიმდინარეთ მოელი კავკასიისთვის წარმომადგენელს ი. გ. ახო-ბაძეს, ტუაზის, გოლოვინის პრისტ. № 41.

მიღებული გვაქს სამაღლობელი წერილები აუარტებულ პირთავან, რომლებიც სრულიად გამო-აჯანმრთელა ჩეენშა სპერმინმა, წერილების ნავა შეიძლება გ. ახობაძესთან.

გოლოვინის პროსპექტისა და სამხედრო ქუჩის კუთხეში

# გაიხსნა ახალი აფთიაქი ცარალამ ასვლენედიანისა.

უშაურა

# ჩვენი გემო

კვასი


„ჩვენი გემო“—ს ქარხანა გადავიდა ჩერქეზოვის ქუჩაზე № 38.

გვასი შზადება პირველ სირისხოენ მისადაისაგან და ნადაღი წელით. სისუფთავე ქარხანაში საუც-ხოვთ დაცულია. ამზადებს დიდი ხნის დაგვირეცხული და მრავალი შეზრუნველი მოსახულე. გემი და სუნი მეტად სასამართლო აქვს.

ვისაც სურს დალის ნამდვილი პურის კვასი. მოითხოვთ ყოველგან „ჩვენი გემო“ და არ აურიონ ის სხვა ფარმეტში. კვასი „ჩვენი გემო“ ქიმიურ ლაბორატორიისაგან გასინ-ჯული და მოწონებულია.

დამსახურებული დამსახურებული

გარდმა გასძახა ბულბულსა: — ეგ ბაღი დამიცალეო,  
— განა სხვა ბაღი არ არის, რა ჩემშე მოიცალეო!



წერა-კითხვის საზოგადოება. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება გთხოვთ  
კლუბის ბაღი დაუცალოთ სასეირნოთ.  
ახალი კლუბი. განა სხვა ბაღი არ არის!!

1 მაისიდან ქალაქ თფილისში გაიხსნა უურნალ-გაზეთების კანტორა

# „განათლება“

ჯერ-ჯერობით აგენტებს გაეგზავნება შემდეგი გაზეთები: „თანამედროვე აზრი“, „ეშმა-კის მათრაზი“, „თემი“, „თეატრი და ცენორება“, ქუთათეური „აზლი კვლი“, „პაველსკიე სლოვო“, „თბილისის ლისტოკი“, „ორიზონი“, „მშეია“ და „ხითაბალა“.

აგენტები ვალდებულია მთელი თვით დაკვეთილი გაზეთების ფასი წინდა-წინ გადაიხა-ლონ. წინააღმდეგ შეზღვევაში გაზეთები არ გატეზავნებათ.

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი აღრესით: ტიფლის, პორტ. ქ. № 96, სილვესტრ P. თავართკილაძე.

კანტორის აღრესი: ოღვინსკია, № 6.